

სახელმძღვანელო, როგორც არ ეკადრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

თამაზ ბაძრაძე
სტუ-ს პროფესორი



“მოყვარეს პირში უძრახეს” პრინციპიდან გამომდინარე, ჩვენს მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩავთვალეთ გამოგვეთქვა გულახდილი და კრიტიკული მოსაზრებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით გამოცემულ სახელმძღვანელოზე — “ფირმის ეკონომიკა”, რომლის ავტორებიც გახლავან ამავე ფაკულტეტის პროფესორები გულნაზ ერქომაიშვილი და ეთერ ხარაიშვილი, რედაქტორია პროფესორი რ. გველესიანი, რეცენზენტები კი არიან პროფესორები ე. მექვაბიშვილი და მ. ჩაველიშვილი. სახელმძღვანელო გამოქვეყნებულია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის ავღსახსენებელი ცხრაწლიანი ბატონობის ბოლოსწინა 2011 წელს, ანუ როდესაც ჩვენი დედა უნივერსიტეტი უკვე გაწმენდილი იყო “ჩარეცხილებად” გამოცხადებული დეაწმომოსილი პროფესორ-მასწავლებლების დიდი ნაწილისაგან და შტატი შევსებული იყო პოლიტიკური ნეპოტიზმის საფუძველზე

მიღებული გამოუცდელი და არაკომპეტენტური, მაგრამ ადვილად მართვადი და დამჯერი კადრებით. ამ მხრივ უნივერსიტეტში, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, სამართლიანობა ჯერ კიდევ ბოლომდე აღდგენილი არ არის. ამასთან ერთად, კარგა ხანია დადგა დრო, რათა დავარდვიოთ ქართულ საზოგადოებაში ღრმად დამკვიდრებული, დანაშაულობის ტოლფასი - ერთმანეთის არაკომპეტენტურობასა და შეცდომებზე თვალის დახუჭვისა და ხელის დაფარების მავნე ტენდენცია, ხმა ავიმადლოთ უსამართლობის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ და აღარ დაეუშვათ მდარე ხარისხის დისერტაციების, სადიპლომონაშრომებისა და სახელმძღვანელოების გამოშვება ქვეყანაში, რადგანაც ეს პირდაპირ ურტყამს ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად მომზადების ხარისხს.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს გადაკითხვისთანავე გვექმნება შთაბეჭდილება, რომ მის ავტორებს არ გააჩნიათ პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება ბიზნესში და მათ, არათუ არ უმუშავიათ, არამედ ნამყოფებიც კი არ არიან ფირმებში. ამიტომაცაა, რომ წიგნში უხვად გვხვდება რთული ენით დაწერილი ბუნდოვანი წინადადებები, ურთიერთსაწინააღმდეგო გამონათქვამები, უხეში შეცდომებიც და, რაც ყველაზე მეტადაა თვალში საცემი, გამოტოვებულია და განმარტების გარეშეა დატოვებული ფირმის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მაგალითად, ვნახოთ როგორაა გაშუქებული სახელმძღვანელოში ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორიცაა “ფირმის საქმიანობის დაგეგმვა” (თავი 4). აქ აუცილებლად უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ არის განხილული ფირმის პერსპექტიული, წლიური და ოპერატიულ-საწარმოო გეგმები, მათი არსი და შედგენის წესები. არაფერია ნათქვამი ფირმის საწარმოო პროგრამის ანუ წარმოებული პროდუქციის გეგმის ისეთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებზე, როგორებიცაა: მთლიანი პროდუქცია (რუს. -

валовая продукция, ინგლ. - gross output.), სასაქონლო პროდუქცია (რუს. - товарная продукция, ინგლ. - marketable output.), რეალიზებული პროდუქციის მოცულობა და წმინდა პროდუქცია (რუს. - чистая продукция, ინგლ. - net output). შესაბამისად, არაა განხილული არც მათი განსაზღვრის, ურთიერთდამოკიდებულებების, შესრულების გზებისა და სხვა საკითხები. ნახსენებიც კი არაა ინდიკატიური დაგეგმვა და მისი მნიშვნელობა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. არ არის გაშუქებული დაგეგმვის ბალანსური, ნორმატიული და სხვა მეთოდები. სამაგიეროდ ძალზე ზოგადი ფორმითა და კონკრეტიკის გარეშეა განხილული ფირმის ორიენტირის, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები. რატომღაც აქვეა განხილული ბიზნეს-გეგმა, მისი არსი, შემადგენლობა და შედგენის ორგანიზაცია. ამ დროს, ფირმის საქმიანობის დაგეგმვა წარმოადგენს მუდმივად მიმდინარე, პერმანენტულ პროცესს, მაშინ როდესაც ბიზნეს-გეგმა არის ერთჯერადი სამუშაო და იგი მუშავდება ძირითადად ახალი ფირმის გახსნამდე, როგორც მომავალი ბიზნესის შექმნის სამოქმედო პროგრამა და იგი გვიჩვენებს მოცემული ბიზნესის გახსნისა და ფუნქციონირების მიზანშეწონილობას. ამიტომ ამ თავში ბიზნეს-გეგმის შეტანა უადგილოდ გვეჩვენება და ჯობდა იგი განხილულიყო კურსის ბოლოში, როდესაც უკვე გავლილი იქნებოდა ფირმის ეკონომიკის უმთავრესი თემები და დადგებოდა ახალი ბიზნესის გახსნის წესების შესწავლის დრო.

სახელმძღვანელოში არასაკმარისადაა დახასიათებული შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმა (თავი 10), რომელიც წარმატებით გამოიყენება როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთულ ფირმებში; არ არის ნახსენები ბრიგადაში შეჯიბრებითობის უზრუნველყოფელი შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი და მისი განსაზღვრის წესები; არ არის გაშუქებული ფირმის პერსონალის პრემიების დებულების შემუშავების მეთოდოლოგია, შრომის ნაყოფიერების წინმსწრები ზრდის ტემპების დაცვის აუცილებლობა საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებთან შედარებით; არ არის განხილული საბრუნავი კაპიტალის წრებრუნვის ფორმულა და მისი ხანგრძლივობის შემცირების გზები და მნიშვნელობა; არ არის მოცემული ფირმის საბრუნავი კაპიტალის ცალკეული ელემენტებისა და მთლიანი მოცულობის განსაზღვრის წესები; არ არის განხილული საწარმოო სიმძლავრის განსაზღვრის მეთოდები ფირმაში; სახელმძღვანელოში არაა განხილული აგრეთვე პროპორციული, პროგრესული და რეგრესული გადასახადები და მათი დანიშნულებები; არ არის მოცემული დღგ-ის, აქციზის, ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების არსი და განსაზღვრის წესები; ყურადღება არა აქვს დათმობილი ახალი

ტექნიკის დანერგვის, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებისა თუ ცალკეული რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის წესებს. ფირმის ხელმძღვანელს ხომ უნდა შეეძლოს ნოვატორი მუშაკის მიერ წარმოდგენილი წარმოების გაუმჯობესების წინადადების ეკონომიკური ეფექტის დადგენა, თუნდაც მისთვის გამოსაწერი პრემიის ოდენობის გასაანგარიშებლად? არასაკმარისადაა განხილული ინვესტიციათა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის სტატიკური და დინამიკური მეთოდები, რომელთა საშუალებითაც უნდა დადგინდეს ახალი ფირმების გახსნის მიზანშეწონილობა; საერთოდ ნახსენებიც კი არ არის დისკონტირება, რომელიც ითვალისწინებს დროის ფაქტორის გავლენას ინვესტიციების რეალური ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის დროს და ა.შ.

სახელმძღვანელოში დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არაფერია ნათქვამი ცნობილი შვედი მეცნიერ-ეკონომისტების ელი პეკშერისა და ბერტილ ოლინის წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორიის შესახებ, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ახალი ფირმის გახსნისას მისი პროფილის შერჩევის საქმეში. დასაწინაა, რომ არ არის ნახსენები ადამ სმიტის აბსოლუტური უპირატესობისა და დევიდ რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორიები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ ფირმაში კადრების შერჩევისა და სწორი განაწილების, საგარეო ვაჭრობის მაქსიმალური ეფექტიანობით ორგანიზების, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების საქმესა და სხვა საკითხებში.

სახელმძღვანელოში გვ. 239-ის ბოლო აბზაცში წერია, რომ მატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება ძირითადი კაპიტალი და საბრუნავი კაპიტალი. ასეთი განმარტება არ არის მთლად სწორი, რადგანაც როგორც ძირითად, ისე საბრუნავ კაპიტალში გარდა მატერიალურისა შედიან აგრეთვე არამატერიალური ელემენტებიც, კერძოდ, ფულადი სახსრები, დებიტორული დავალიანება, სავაჭრო მარკა, ნოუ-ჰაუ, საავტორო უფლება, გრძელვადიანი დაბანდებები ობლიგაციებში და სხვა არამატერიალური აქტივები. გვ.271-ის ბოლო აბზაცში მანქანებისა და ავტობუსების მძღოლები, რომლებიც ეწევიან ფირმის სატრანსპორტო მომსახურებას, მიკუთვნებულნი არიან მუშების, კერძოდ, დამხმარე მუშების კატეგორიას. ხოლო გვ. 272-ის მე-2 აბზაცში ისინი დამლაგებლებთან და კურიერებთან (შიკრიკებთან) ერთად შეყვანილნი არიან უმცროსი მომსახურე პერსონალის კატეგორიაში? 382-ე გვერდზე (მე-2 სტრიქონში) წყალდიდობა მოხსენიებულია, როგორც წმინდა რისკი, მაშინ როდესაც 374-ე გვერდზე (პირველი აბზაცის მე-4 სტრიქონი) იგი შეყვანილია ფუნ-

დამენტურ რისკებში? 343-ე გვერდის მე-4 სტრიქონში საკალკულაციო მუხლების ჩამოთვლისას ნახსენებია “არასაწარმოო ხარჯები”, უნდა იყოს “წარმოებისგარეშე ხარჯები” (внепроизводственные затраты). 351-ე გვერდზე განხილულ საკალკულაციო მუხლებში ხარჯების შეტანისას დიდ ადრევასა და უზუსტობებს აქვს ადგილი. მაგალითად, პირველ აბზაცში დამზადების ხარჯები მოხსენიებულია ზედნადებ ხარჯებად, რაც არასწორია; დანახარჯები ტარასა და შესაფუთ მასალებში ჯერ შეყვანილია საკალკულაციო მუხლში “დამხმარე მასალები”, შემდეგ კი შეტანილია “არასაწარმოო დანახარჯებში, რომელიც მოიცავს პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს”. გამოდის, რომ ხარჯები ტარასა და შეფუთვაზე ერთდროულად ორჯერაა შეყვანილი სხვადასხვა საკალკულაციო მუხლებში? გაუგებარია, რატომაა შეტანილი საკალკულაციო მუხლში “დანახარჯები მოწყობილობის შენახვასა და ექსპლუატაციაზე” იმ ელექტროენერგიის საფასური, რომელიც იხარჯება დანადგარების მოქმედებაში მოსაყვანად? ეს ხარჯები ხომ არის უკვე გათვალისწინებული მუხლში “სათბობი და ელექტროენერგია ტექნოლოგიური მიზნებისათვის”? დანახარჯების გამეორება სხვადასხვა საკალკულაციო მუხლებში დაუშვებელია, რადგანაც ეს გამოიწვევდა თვითღირებულების ხელოვნურად, უსაფუძვლოდ გაბერვას, რაც დანაშაულის ტოლფასია. სახელმძღვანელოს 160-ე გვერდზე განხილულია მარკეტინგული კომპლექსის შემადგენლობა, რისთვისაც გამოყენებულია ცნობილი ამერიკელი მარკეტოლოგის მაკარტის (McCarthy) ოთხი -ის კონცეფცია, მაგრამ არ არის მითითებული ამ კონცეფციის ავტორი. ანალოგიურად, 181-ე გვერდზე გამოყენებულია ასევე არანაკლებ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ეთნიკურად რუსის იგორ ანსოფის “საქონელი-ბაზრის ზრდის მატრიცა”, რომლის საშუალებითაც ხდება სხვადასხვა საბაზრო სტრატეგიების შერჩევა ფირმებში. რატომაც არც აქ არ არის ნახსენები აღნიშნული მატრიცის ავტორი. აღსანიშნავია, რომ არც მაკარტის და არც ანსოფის გვარები არ არის ნახსენები სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემულ გამოყენებული ლიტერატურის სიაში. გამოდის, რომ ავტორებმა მიითვისეს ცნობილი უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომები, რაც პლაგიატს ნიშნავს. სამწუხაროდ, ასეთი არეულ-დარეულობები და გაუგებრობები ხშირად გვხვდება სახელმძღვანელოში.

სამეწარმეო გამოცდილების უქონლობით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ სახელმძღვანელოში ბუნდოვნად და შეცდომებით არის განხილული შრომის ნაყოფიერების ძალზე მნიშვნელოვანი თემა (თავი 10). 283-ე გვერდის მე-5 აბზაცში ავტორები წერენ: “ინდივიდუალური შრომის მწარმოებლურობის გაზომვისათვის გამოიყენება ორი მაჩვენებელი: გამომუშავება და შრომატევადობა. თითოეული მათგანი განისაზღვრება შემდეგნაირად:

წარმოებული პროდუქციის მოცულობა (ლარი)

ა) გამომუშავება = $\frac{\text{წარმოებული პროდუქციის მოცულობა (ლარი)}}{\text{ცოცხალი შრომის დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე (ლარი)}}$;

ცოცხალი შრომის დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე (ლარი)

ბ) შრომატევადობა = $\frac{\text{ცოცხალი შრომის დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე (ლარი)}}{\text{წარმოებული პროდუქციის მოცულობა (ლარი)}}$;“

ჯერ ერთი, “შრომის მწარმოებლურობის” ნაცვლად სჯობდა გამოყენებული ყოფილიყო ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული ტერმინი “შრომის ნაყოფიერება”, ხოლო რაც შეეხება “გამომუშავებას”, იგი უფრო ასოცირდება ხელფასის გამომუშავებასთან ანუ შრომის ანაზღაურებასთან. მეორე და მთავარი კი არის ის, რომ სახელმძღვანელოში მოცემულ ზემომოყვანილ ა) ფორმულაში მრიცხველი წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში, ვთქვათ წელიწადში, წარმოებული პროდუქციის მოცულობას ლარებში. მნიშვნელში კი მოცემულია იმავე პერიოდში წარმოებულ პროდუქციაზე გაწეული ცოცხალი შრომის დანახარჯები აგრეთვე ლარებში. ასეთი ფარდობით ჩვენ მივიღებთ ერთი ლარის ღირებულების შრომაზე მოხული პროდუქციის რაოდენობას ლარებში. ანალოგიურად, ფორმულა ბ) გვიჩვენებს, თუ რა ღირებულების ცოცხალი შრომაა ჩადებული საშუალოდ ერთ ლარ წარმოებულ პროდუქციაში. გამოდის, რომ ავტორები გვთავაზობენ შრომის მწარმოებლურობისა (ნაყოფიერებისა) და პროდუქციის შრომატევადობის განსაზღვრის ახალი შინაარსის ფორმულებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ავტორთა მიერ შრომის მწარმოებლურობისა და პროდუქციის შრომატევადობის იქვე ზევით მოცემულ სიტყვიერ განმარტებებს და რომლებიც არსად სამეწარმეო პრაქტიკაში არ გამოიყენება. ხომ არ სჯობდა ავტორებს ჯერ დაეპატენტებინათ მათ მიერ გამოგონებული ზემომოყვანილი ფორმულები და მერე გამოეყენებინათ ისინი თავიანთ სახელმძღვანელოში?

284-ე გვერდის მე-3 აბზაცში ავტორები იხილავენ გამომუშავების (შრომის ნაყოფიერების)

განსახედების წესს პირობით ნატურალურ ერთეულებში, მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, თუ როგორ ხდება პირობით ნატურალური პროდუქციის შერჩევა და როგორ გადაყავთ პირობით ნატურალურში სხვა დასახელების პროდუქცია. სტუდენტებისათვის ძალზე ბუნდოვანი იქნება იმავე გვერდის მე-5 აბზაცში მოცემული გამომუშავების (შრომის ნაყოფიერების) განსახედების წესი ნორმა-საათების მიხედვით.

248-ე გვერდის მე-2 აბზაცში მოყვანილია სატვირთო ავტომანქანის წლიური ცვეთის ღირებულების გაანგარიშების მაგალითი წრფივი ჩამოწერის წესით. მაგრამ სატვირთო ავტომანქანებისათვის ცვეთა და შესაბამისად საამორტიზაციო ანარიცხებიც იანგარიშება არა ექსპლუატაციის ვადის მიხედვით, ანუ ღირებულების წრფივი ჩამოწერით საამორტიზაციო პერიოდში, არამედ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით ტონა-კილომეტრებში.

სამწუხაროდ, იქვე მე-3 აბზაცში უხეში შეცდომითაა მოცემული ძირითადი კაპიტალის ცვეთის თანხის განსახედების ფორმულა:

$$\text{“ცვეთის თანხა} = \frac{\text{პროდუქციის ერთეულზე პირვანდელი ღირებულება - სალიკვიდაციო ღირებულება}}{\text{პროდუქციის გამომშვების მოსალოდნელი რაოდენობა}};\text{“}$$

აღნიშნული ფორმულის მრიცხველში სრულიად გაუგებარია რა შუაშია და რას ნიშნავს “პროდუქციის ერთეულზე პირვანდელი ღირებულება”? გამოდის, რომ ვანგარიშობთ არა მანქანა-დანადგარის (ძირითადი კაპიტალის), არამედ ერთეული პროდუქციის ცვეთის თანხას, რაც არასწორი და ალოგიკურია.

249-ე გვერდის მე-3 პარაგრაფში ამორტიზაციის ნორმის განსახედვრავად ავტორები გვთავაზობენ შემდეგ აბსურდულ ფორმულას:

$$\text{“ამორტიზაციის ნორმა} = \frac{\text{ძირით. კაპიტ. თავდ. ღირ. - ძირით. კაპ. სალიკვ. ღირებ.}}{\text{ძირით. კაპიტ. ნორმატიული მუშაობის დრო}} \times 100 \text{ “};$$

აღნიშნული ფორმულით გამოდის, რომ ამორტიზაციის ნორმის გასაანგარიშებლად წლიური საამორტიზაციო ანარიცხები უნდა გამრავლდეს 100-ზე, რაც სრული ნონსენსია.

ფორმებში (ბიზნესში) პრაქტიკული მუშაობის გამოცდილობის უქონლობითაა გამოწვეული აგრეთვე, რომ სახელმძღვანელოს ზოგიერთ თავებზე დართული ცოცხალი პრაქტიკული სიტუაციების ანალიზი უმეტეს შემთხვევებში არის არაადეკვატური განსახილველ თემებთან მიმართებით. მაგალითად, მე-12 თავი “ფირმის დანახარჯები და მათი გაანგარიშება” მთავრდება პრაქტიკული სიტუაციით — “დანახარჯების ქოლგა”. მოყვანილ სიუჟეტში გატარებულია აზრი, რომ როგორც ქოლგები იცავენ ადამიანებს წვიმიან ამინდში, ისე წვილი და “მაჩანჩალა” საწარმოები იცავენ მსხვილ და მძლავრ საწარმოებს ზედმეტი დანახარჯების გაწვევისაგან. სინამდვილეში, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ყველაფერი პირიქითაა — მსხვილი საწარმოები ცდილობენ პროდუქცია გაყიდონ რაც შეიძლება დაბალ ფასებში, რათა ამით ხელი შეუშალონ მათი კონკურენტი “მაჩანჩალა” საწარმოების პროდუქციის რეალიზაციას და გააკოტრონ ისინი, რომ მომავალში თავი ჩაიყენონ მონოპოლიურ მდგომარეობაში, პროდუქციის რეალიზაცია მოახდინონ მაღალ ფასებში და მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი მოგება. ასე რომ, “მაჩანჩალა” საწარმოები კი არ ამცირებენ მძლავრი და მსხვილი საწარმოების დანახარჯებს, არამედ აიძულებენ მათ გაზარდონ ხვედრითი დანახარჯები, შეიმცირონ მოგება და უარი თქვან პროდუქციის რენტაბელობის გადიდებაზე კონკურენტების ჩამოცილების მიზნით.

პატივცემულო კოლეგებო, ჩვენი სტუდენტი-ახალგაზრდობის ინტერესების დაცვისა და მსოფლიო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიან და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად, მოდით, ნუ მოვკიდებთ ხელს ლექციების წაკითხვას და, მით უმეტეს, სახელმძღვანელოების დაწერას იმ სფეროში, რომელშიც არ გვექნება პრაქტიკული მუშაობის სათანადო გამოცდილება და გა-ნათლება.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეხუთე ნომრის დამატება)
ლექციების კურსი